ოქმი:**ო37. 3724088001**
თარიღი:**28/03/2024**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2024 წელი, 27 მარტი

ქ. ოზურგეთი

11.00 -15. 00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. არუშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, პ. კიღუირაძე; ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ე. გორდელაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. ბოლქვაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 33 -ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და საქართველოს მოსახლეობას მიულოცა ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვება. პირველ

საკითხზე მოხსენების გაკეთებისათვის საკრებულოს თავმჯდომარეს სიტყვა მისცა სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნა ცნობად.

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნ. ასათიანმა დასვა შეკითხვა მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი 8-ავტობუსის მარშრუტებზე განაწილების თაობაზე. მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ მიმდინარეობს ავტობუსების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, რის შემდეგაც მოხდება მარშრუტებით მუნიციპალიტეტის რაც შეიძლება დიდი ტერიტორიების მოცვა.

საკრებულოს წევრმა გ. შილაკაძემ დასვა შეკითხვა-დასაქმდება თუ არა ამჟამად მარშრუტებზე მომუშავე მძღოლები? უპასუხეს, რომ მათი შერჩევა მოხდება პროფესიონალიზმის ნიშნით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ დ. დარჩიას რამდენიმე ანგარიში აქვს მოსმენილი, მაგრმ ეს საუკეთესო და ყოვლისმომცველი იყო, ამდენად უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ეს წინადადება გაიზიარა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჭანიშვილმა და დაამატა, რომ ანგარიში შთამბეჭდავი და კონკრეტული იყო. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. არუშიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში ღრმა და დეტალური იყო, წარმატებები უსურვა დ. დარჩიას. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა დ. დარჩიას გაწეული მუშაობისათვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სხდომის თავმჯდომარის დრობით შემსრულებლის ლ. ბიგვავას წინადადებით საკრებულოს თავმჯდომარის დ. დარჩიას 2023 წელში გაწული მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შემდეგ ოპოზიციური პარტიების წევრებმა დატოვეს საკრებულოს სხდომა.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომოკური გაძლიერების (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ საკითხის გაცნობამდე საკრებულოს წვრებს, დამსწრეთ და საქართველოს მოსახლეობას მიულოცა ფეხბურთში ეროვნული ნაკრების გამარჯვება.

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. არუშიძემ თანამომხსენებელს დაუსვა შეკითხვა-შარშანდელ გამარჯვებულს წელს შეეძლება მონაწილეობის მიღება? უპასუხეს, რომ 3-წლის განმავლობაში არ ექნებათ უფლება, რათა პროგრამა მეტმა ბენეფიციარმა მოიცვას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ანგარიში იყო კონკრეტული და სიღრმისეული, მაგრამ საინტერესოა მოთხოვნილ და დაფინანსებული პროექტების თანხებს შორის რატომაა სხვაობა, ხომ არ გაკეთდე ეს ბენეფიციარების რაოდენობის შემცირების ხარჯზე გამარჯვებული პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით? გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომათა დარბაზში მოხდა 19-ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა, განისაზრვრა თითოეულის რეიტინგი, ბიუჯეტის განხილვისას პრიორიტეტი მიენიჭა აღჭურვილობისა და აგრეგატების შეძენას, სამდივნოსა და ბენეფიციარების ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდა პროექტების კორექტირება. საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ დასვა შეკითხვა-დაფინანსების შემდეგ როგორ ხდება ბენეფიციართან ურთიერთობა? უპასუხეს, რომ ტარდება მონიტორინგი, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს აქვს მათთან მუდმივი კომუნიკაცია. გაზეთ“ გურია ნიუსის“ კორესპოდენტმა მ. ჩიხლაძემ განაცხადა, რომ პროექტის ერთ-ერთი მონაწილეა, სუკეთესო პროექტია მოტივირებული ადამიანების დასახმარებლად, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ლ. ბიგვავა შეეკითხა მ. ჩიხლაძეს-როგორც მედიის წარმომადგენელს მოსწონს თუ არა საკრებულოს ოპოზიციური სპექტრი რომ ხშირად ტოვებს საკრებულოს სხდომებს და არ მონაწილეობს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში? უპასუხეს, რომ ოპოზიცია აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სხდომებს და მონაწილეობდეს საკითხების განხილვაში.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

   მომხსენებელი : დავით დარჩია

   თანამომხსენებელი : დავით გორდელაძე

   გელა ჩავლეშვილი

   ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მას. მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ მადლობა გადაუხადა მერიის შესყიდვების განყოფილებას გაწეული მუსაობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგია როცა გამარტივებული შესყიდვების რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ საჭიროების დროს მისი განხორციელება კანონით დაშვებულია და აუცილებელიცაა.

13.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

   მომხსენებელი : დავით დარჩია

თანამომხსენებელი : მაიზერ ცელაძე

ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-2023 წლის სამოქმედო გეგმა შეფასებულია თუ არა? და თუ შეფასებულია მოითხოვა მისი საკრებულოსათვის მიწოდება.უპასუხეს, რომ მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად გეგმის შესრულების შეფასება ყოველწლიურად ხდება.შეფასების ანგარისი უახლოეს პერიოდში გამოგზავნილი იქნება საკრებულოში.

14.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

15.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

16.7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხენებელი : დავით დარჩია

თანამომსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა25 -ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

საკრებულოს წევრმა ლ. კილაძე დასვა შეკითხვა სოფელ მელექედურის დაფინანსების გაზრდის თაობაზე, აღნიშნა, რომ ის და მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი ღებულობს შედარებით ნაკლებ დაფინანსებას იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენისეთ ადმინისტრაციულ ერთეულებს,რომლებიც მხოლოდ ერთი სოფლით არიან რეგისტრირებულნი.მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიზე განაცხადა, რომ დაფინანსების კრიტერიუმია მოსახლეობის რაოდენობა და ტერიტორიული მოწყობა, ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეული მათში შემავალი სოფლების გამო ღებულობენ მეტ დაფინანსებას.

17.8. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხენებელი : დავით დარჩია

თანამომსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ პროექტების ნუსხაში არის ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ -მე- 14 პოზიცია ამოღებულია პროექტის შესრულების გამო, ხოლო მე-8 პოზიციაში დასახელებაა დასაკორექტირებელი.

9. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი